საქართველოს პროკურატურის სტრატეგია

2022–2027 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი **3**

პროკურატურის რეფორმირების პროცესი 4

სიტუაციის ანალიზი - არსებული მდგომარეობა **5**

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 5

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესი **7**

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან 9

SWOT ანალიზი **10**

სტრატეგიული ხედვა 11

მიზანი 1 - საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება **12**

ამოცანა 1.1. მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება და დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება:..... 12

ამოცანა 1.2. საპროცესო დოკუმენტების გამართულობის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის ზრდა 13

ამოცანა 1.3. საპროცესო შეთანხმებების მოქნილობისა და ეფექტიანობის ზრდა 14

ამოცანა 1.4. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების გაძლიერება 15

ამოცანა 1.5. საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნა 16

მიზანი 2 - ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა **17**

ამოცანა 2.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა 17

ამოცანა 2.2. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა 19

ამოცანა 2.3. ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა..... 20

ამოცანა 2.4. არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით 22

ამოცანა 2.5. ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესება..... 24

ამოცანა 2.6. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა 26

ამოცანა 2.7. შშმ პირების მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა და შშმ პირთა (მათ შორის შშმ ბავშვთა) მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 27

ამოცანა 2.8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა 28

ამოცანა 2.9. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა..... 29

ამოცანა 2.10. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა..... 30

ამოცანა 2.11. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა..... 31

ამოცანა 2.12. პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა 32

ამოცანა 2.13. თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა..... 33

ამოცანა 2.14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეკეტული, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის ეფექტიანობის ზრდა 35

მიზანი 3 - საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება.....37

ამოცანა 3.1. სამართლებრივი დახმარების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება..... 38

ამოცანა 3.2. ექსტრადიციის პროცესის ეფექტიანობის ზრდა..... 39

ამოცანა 3.3. სამართლებრივი დახმარების გამარტივებულ ფორმებსა და ალტერნატივებზე წვდომის გაფართოება 39

ამოცანა 3.4. დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება 40

ამოცანა 3.5. ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება 41

მიზანი 4 - ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესება 42

ამოცანა 4.1. პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა..... 42

ამოცანა 4.2. პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება..... 43

ამოცანა 4.3. თანამშრომელთა შერჩევისა და როტაციის სისტემის გაუმჯობესება 45

ამოცანა 4.4. თანამშრომელთა განგრძობადი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა..... 46

ამოცანა 4.5. გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება 46

ამოცანა 4.6. მწვანე ოფისის კონცენფციის დანერგვა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების შემცირება 47

მიზანი 5 - საზოგადოების ნდობის ამაღლება 49

ამოცანა 5.1. საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის ზრდა 49

ამოცანა 5.2. პროკურატურის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ზრდა..... 50

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.....52

შესავალი

საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის საქმიანობაც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. პროკურატურის ფუნქციები, ამოცანები და საქმიანობის პრინციპები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა:

- ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;
- სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას;
- ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ექცევა საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში;
- რეაგირებას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს იმ დაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს აღასრულებენ;
- სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;
- სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;
- ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად, პროკურატურა ახორციელებს თავის საქმიანობას კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის განვითარების 2022-2027 წლების სტრატეგიას. დოკუმენტის მიზანია პროკურატურის სისტემის განვითარების ზოგადი ხედვისა და ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, განვითარების შუალედური და საბოლოო მიზნების განსაზღვრა და მათ მისაღწევად

საჭირო ამოცანების დასახვა, რასაც დაეფუძნება პროკურატურის განვითარების ექვსწლიანი გეგმა.

პროკურატურის რეფორმირების პროცესი

საქართველოს პროკურატურის სისტემური რეფორმირების პროცესი 2013 წლიდან დაიწყო. საწყის ეტაპზე, იუსტიციის მინისტრს ჩამოშორდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია.

2015 წლიდან, პროკურატურის სისტემაში შეიქმნა ახალი კოლეგიური ორგანო - საპროკურორო საბჭო, რომლის წევრები აირჩევიან პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრებაზე - პროკურორთა კონფერენციაზე. საპროკურორო საბჭოს, კანონის შესაბამისად, თავმჯდომარეობდა იუსტიციის მინისტრი. კანონითვე განისაზღვრა საპროკურორო საბჭოში პროკურორ/პროკურატურის გამომძიებელ წევრთა რაოდენობა და მათი არჩევის წესი. შეიცვალა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე გამწესების წესიც. მთავარი პროკურორობის კანდიდატის შერჩევის, დამტკიცების და თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება მიენიჭა საპროკურორო საბჭოს.

საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველოს პროკურატურამ შეიძინა კონსტიტუციური სტატუსი. თუკი 2018 წლამდე, პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას წარმოადგენდა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შედეგად, პროკურატურა გამოეყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა. მთავარი პროკურატურა გარდაიქმნა გენერალურ პროკურატურად.

საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, 2018 წლის 30 ნოემბერს, მიღებული იქნა თვისობრივად ახალი ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლითაც მრავალი საკვანძო საკითხი ახლებურად მოწესრიგდა. გენერალური პროკურორობის კანდიდატის შერჩევის მოვალეობა მთლიანად საპროკურორო საბჭოს დაეკისრა. ამავდროულად, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, შეიქმნა ორი მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. ორგანული კანონითვე განისაზღვრა ხსენებული სათათბირო ორგანოების უფლებამოსილებები.

სიტუაციის ანალიზი - არსებული მდგომარეობა

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2017 წელს, საქართველოს მთავარი პროკურორის ბრძანებით, დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია. დოკუმენტის მიხედვით, ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებად განისაზღვრა პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდა, ადამიანის უფლებების დაცვა, ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება, საზოგადოების ნდობის ამაღლება, დანაშაულის პრევენცია, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, თანამშრომელთა პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება. ზემოაღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერა თითოეული მიზნისა და ამოცანის შესასრულებლად საჭირო აქტივობები. ყოველწლიურად მიმდინარეობდა პროკურატურის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, პროკურატურაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, მათ შორის:

- შეიქმნა კოლეგიური ორგანოები და მათ მიენიჭა მნიშვნელოვანი უფლებამოსილება;
- დაინერგა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემა, რომლის საფუძველზეც რეგულარულად ხდება პროკურატურის თანამშრომელთა შეფასება;
- შეიქმნა პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი და შემუშავდა კომენტარები;
- შეიქმნა დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოები;
- დაინერგა პროკურორთა სპეციალიზაცია ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ და სქესობრივ დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე;
- პროკურატურის ოთხ სტრუქტურულ ერთეულში შეიქმნა არასრულწლოვანზე მორგებული გარემო;
- განახლდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა და შეიქმნა ანალიტიკური ელექტრონული მოდული;
- დაინერგა მენტორების სისტემა;
- შეიქმნა პროკურორთა რანგირების სისტემა;
- დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით, ხორციელდება პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“;

ეს იმ სიახლეების მცირე ჩამონათვალია, რაც გათვალისწინებული იყო პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. მათი დანერგვა, უდავოდ, მნიშვნელოვან პროგრესად უნდა იქნეს მიჩნეული.

პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და ამ მონიტორინგის საფუძველზე 2019 წელს გამოცემული ანგარიში. ხსენებული ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის მდგომარეობით, პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შუალედური შესრულების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა. ამავე ანგარიშის მიხედვით, პროკურატურის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 10 ამოცანიდან სრულად შესრულებულად ჩაითვალა ერთი, შვიდი - მეტწილად შესრულებულად, ხოლო ორი - ნაწილობრივ შესრულებულად. 2017 წელს გათვალისწინებული 127 ღონისძიებიდან სრულად შესრულებულად ჩაითვალა 87, მეტწილად შესრულებულად - 20, ნაწილობრივ შესრულებულად - 15, შეუსრულებლად - 5. რაც შეეხება 2018 წელს, 119 ღონისძიებიდან, სრულად შესრულებულად ჩაითვალა 65, მეტწილად შესრულებულად - 11, ნაწილობრივ შესრულებულად - 11, ხოლო შეუსრულებლად - 32[1].

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დოკუმენტი პოლიტიკის განმსაზღვრელ პირველ უნიფიცირებულ დოკუმენტს წარმოადგენდა, პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას ჰქონდა გარკვეული ხარვეზებიც, რაც პერიოდულად ხდებოდა ქართული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების საგანი.

პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ ხარვეზად მიჩნეული იქნა მიზნისა და ამოცანის ტერმინოლოგიის აღრევა, არასაკმარისად კონკრეტული და არაგაზომვადი ამოცანების არსებობა, უმნიშვნელო და არამასშტაბური ღონისძიებებით გადატვირთვა, ასევე ინდიკატორების, საბაზისო, შუალედური და სამიზნე მაჩვენებლების არარსებობა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ართულებდა შესრულების მონიტორინგს[2].

საყურადღებოა, რომ დამტკიცების შემდგომ, საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებები არ შესულა. იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, უწყების წინაშე წარმოიშვა ახალი გამოწვევები და დასახული იქნა ახალი მიზნები, დღის წესრიგში დადგა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

---

[1] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - „საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში“.
https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/report_29_october_2019_GEO_full_document.pdf
[2] იქვე.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესი

პოლიტიკის შემუშავების პროცესი, ასევე დოკუმენტების სტრუქტურა ეფუძნება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებას და ამავე დადგენილებით დამტკიცებულ სახელმძღვანელოებს.

2020 წლის გაზაფხულზე შეიქმნა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, ხოლო საბჭოს შემადგენლობაში შედიან გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საპროკურორო საბჭოს 8 პროკურორი წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის (შემდგომში – გენერალური პროკურატურა) გენერალური ინსპექციის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტისა და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსები. საბჭოს დებულება დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 მარტის №008 ბრძანებით. ბრძანების თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და განვითარების გეგმის სრულყოფის, პროგრამებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრისა და სრულყოფის, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.

2020 წლის ივლისში შეიქმნა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც შედგებოდა პროკურატურის 13 სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან წარმოდგენილი 18 წევრისგან. ევროკავშირის მხარდაჭერით, სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის ჩატარდა 6-დღიანი სასწავლო კურსი „საჯარო პოლიტიკის ანალიზი სტრატეგიული დოკუმენტების გასაუმჯობესებლად - პოლიტიკის დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება“. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტების თაობაზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმძღვანელოს შესაბამისად.

აღნიშნულის შემდგომ, საქართველოს პროკურატურის ყველა სტრუქტურულ და ტერიტორიულ დანაყოფს წერილობით ეთხოვა სამუშაო ჯგუფისათვის მიეწოდებინათ ხედვები და იდეები საქართველოს პროკურატურის ახალ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. მიღებული მასალის საფუძველზე, ჯგუფის წევრებმა, კომპეტენციების და სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავეს ლოგიკური ჩარჩოები თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა სტატისტიკური ნაწილის დასამუშავებლად, სიტუაციური ანალიზისათვის.

სიტუაციური ანალიზისათვის ასევე დამუშავდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რელევანტური კვლევები და ანგარიშები, რომლებიც ეხება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის, ადამიანის უფლებათა დაცვის, პროკურატურის განვითარების, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების საკითხებს. მათ შორის:

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) - საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში (2017-2018);
- ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი "ადამიანის უფლებები ყველასათვის" - სახელმძღვანელო წესები საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შედგენის, მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის (2017);
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი - ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017);
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), კავშირი „საფარი“ - ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017);
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) - ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში (2016-2017);
- მეგი ნიკოლსონი - ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის განხორციელება საქართველოში (2014-2020);
- კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის - პროკურატურის რეფორმის შედეგების შეფასება (http://www.coalition.ge/index.php?article_id=196&clang=0);
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) - სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში (მარტი 2019 - თებერვალი 2020);
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) საქართველოს შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში (2016);
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) - სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ანგარიში - ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში (2016).

2021 წლის აპრილში, სტრატეგიის პირველადი ვერსია განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს.

2021 წლის სექტემბერში, ევროპის საბჭოს თბილისის ოფისის მხარდაჭერით სტრატეგიის პროექტზე მომზადდა საექსპერტო შეფასება.

2021 წლის ნოემბერში, სტრატეგიის პროექტზე კომენტარები მოამზადა საქართველოში აშშ-ს საელჩოს მართლმსაჯულების დეპარტამენტმა.

მიღებული შეფასებების და რეკომენდაციების საფუძველზე, სტრატეგიის განახლებული ვერსია, 2021 წლის დეკემბერში, ხელახლა განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს.

2022 წლის 9 თებერვალს, საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭომ მოიწონა პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის წარდგენილი ვერსია.

კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია ახალი გლობალური დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 2015 წლის შემდეგ. 2015 წლის 25-27 სექტემბერს, ნიუ იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე, გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს **მდგრადი განვითარების მიზნები,** რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 15 წლის მანძილზე, 2016 წლიდან 2030 წლამდე. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ თანახმად, უნდა მოხდეს პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი თითოეული მიზნისა და გავლენის დაკავშირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs).

ზემოაღნიშნული მდგრადი განვითარების მიზნებიდან მე-16 მიზანი ფორმულირებულია, როგორც „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“, რომელიც გულისხმობს მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას მდგრადი განვითარებისთვის; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ყველასთვის; ეფექტიანი,

ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობას ყველა დონეზე.[3] საქართველოს პროკურატურის საქმიანობის სრულყოფა და გაუმჯობესება შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მე-16 მიზანთან, რამეთუ დამოუკიდებელი, ძლიერი, ობიექტური და პროგრესზე ორიენტირებული პროკურატურის საქმიანობა უზრუნველყოფს სახელმწიფოში მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის შემცირებას და ადამიანის უფლებათა დაცვას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის შესრულებას.

ამავდროულად, სტრატეგიის ცალკეული მიზნები და ამოცანები შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-5 („გენდერული თანასწორობა“), მე-8 („ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“), მე-10 („შემცირებული უთანასწორობა“), მე-13 („კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები“) მიზნებს. სტრატეგიის ცალკეული მიზნების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან, დასაბუთებული იქნება შესაბამის პარაგრაფში.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
• რეფორმირების ნება და მოტივაცია, პროკურატურის ტოპ-მენეჯმენტის მხარდაჭერა; • ორგანიზაციული და სისტემური დამოუკიდებლობა; • საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა; • უწყებათაშორისი თანამშრომლობა; • სტრატეგიული განვითარების სამმართველოს არსებობა; • სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მუდმივმოქმედი საბჭოების არსებობა.	• ადამიანური რესურსის ნაკლებობა; • გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებული, იერარქიული სტრუქტურა; • საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არარსებობა.

[3] https://sdgs.un.org/goals/goal16

<u>შესაძლებლობები:</u>	<u>საფრთხეები:</u>
• თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა; • სწავლებისა და გადამზადების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.	• კვალიფიციური კადრების გადინება; • მატერიალური რესურსების სიმწირე; • პროკურატურის საქმიანობაზე გავრცელებული დამაზიანებელი დეზინფორმაციები; • პანდემია და ფორს-მაჟორი.

სტრატეგიული ხედვა

პროკურატურა უწყვეტად და გეგმაზომიერად უნდა ვითარდებოდეს დროთა განმავლობაში წამოჭრილი გამოწვევების საპასუხოდ. პროკურატურა უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში, რათა მაღალკვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლების მიერ კანონით დაკისრებული ფუნქციების ობიექტურად და მიუკერძოებლად განხორციელებით და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული საქმიანობით, განამტკიცოს კანონის უზენაესობა და უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დამკვიდრება. საქართველოს პროკურატურამ, როგორც უწყებამ, ისევე როგორც თითოეულმა თანამშრომელმა, უნდა იზრუნოს, რომ მისი საქმიანობა არა მხოლოდ ობიექტურად და პროფესიონალურად იყოს განხორციელებული, არამედ, იგი ამგვარადვე აღიქმებოდეს საზოგადოების წევრების მხრიდან. საქართველოს პროკურატურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და თანამშრომლობისაკენ მოწოდებული, რათა საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან ნაყოფიერი ურთიერთობა აისახოს პროკურატურის სანდო, კანონშესაბამის და წარმატებულ საქმიანობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია შედგება **ხუთი სტრატეგიული მიზნისგან**:

- საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;
- პროკურატურის ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესება;
- საზოგადოების ნდობის ამაღლება.

მიზანი 1 - საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება

სამართლებრივი სისტემის სწორი ფუნქციონირება დიდწილადაა დამოკიდებული საპროკურორო საქმიანობის ხარისხზე. სწორედ პროკურორის მაღალ კვალიფიკაციასა და მორალურ მზაობაზეა დამოკიდებული დისკრეციული დევნის მექანიზმის სწორად, კანონიერად და სამართლიანად გამოყენება; საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში მტკიცებულებების კანონიერი გზით მოპოვების კონტროლი; მტკიცებულებების მაღალპროფესიონალური გზით წარდგენა და გამოკვლევა სასამართლოში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ეფექტიან აღსრულებას, სასჯელის მიზნების შესრულებას, დანაშაულის შემცირებას და საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცებას.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება, როგორც სტრატეგიული მიზანი, ემსახურება მდგრადი განვითარების №16 მიზნის - „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ შესრულებას.

ამოცანა 1.1. მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება და დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება:

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული მნიშვნელოვანი სუბიექტია და მისი საპროცესო უფლებების სრულყოფილი რეალიზაციისათვის პროკურატურის წვლილი მნიშვნელოვანია. გარდა საპროცესო უფლებების რეალიზებისა, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მოხდეს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და იმ ზიანის მინიმუმამდე დაყვანა, რომელიც შესაძლოა მიადგეს სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის შედეგად. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად საჭიროა სწორი და დროული კომუნიკაცია დაზარალებულთან. ამასთან, პროკურორის გადაწყვეტილებები მაქსიმალურად უნდა გამომდინარეობდეს დაზარალებულის კანონიერი ინტერესებიდან.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში შემცირდება დაზარალებულად ცნობის დაყოვნების მაჩვენებელი, რაც დაზარალებულს შესაძლებლობას მისცემს დროულად მოახდინოს საკუთარი სტატუსის და უფლებების რეალიზება სისხლის სამართლის პროცესში;
- ✓ მიღებული იქნება ზომები, რათა მაქსიმალურად დაჩქარდეს საქმისწარმოება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, სადაც დაზარალებული მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელია, რათა დროულად მოხდეს მათი დარღვეული უფლებების აღდგენა;
- ✓ საპროცესო შეთანხმების, ასევე, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დაზარალებულის კანონიერი ინტერესი;

- ✓ პროკურატურის თანამშრომლებისათვის განახლდება რეკომენდაცია დაზარალებულებთან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეეხება დაზარალებულად ცნობის, დაზარალებულის ინფორმირების, დაზარალებულის კუთვნილი ნივთების დაბრუნების და დაზარალებულთან კომუნიკაციის სხვა აქტუალურ საკითხებს;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა არასრულწლოვან დაზარალებულთა დაცვის საკითხებს. საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები ჩატარდება დაზარალებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვით, ისეთ ვითარებაში, რომელიც გამორიცხავს არასრულწლოვნის მეორეულ ვიქტიმიზაციას. მინიმუმამდე იქნება დაყვანილი არასრულწლოვნის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და გაიზრდება სასამართლო პროცესზე დაზარალებულის/მოწმის დაცვის ღონისძიებების გამოყენება. არასრულწლოვან დაზარალებულთან მომუშავე ყველა პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი აღჭურვილი იქნება ბავშვთან კომუნიკაციისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით;
- ✓ გაიზრდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა სისხლის სამართლის საქმეებში, რაც უზრუნველყოფს მეტი დაზარალებულის ფსიქოლოგიურ, ემოციურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას;
- ✓ პერიოდულად ჩატარდება დაზარალებულთა კმაყოფილების კვლევა, რათა დაიდენტიფიცირდეს დაზარალებულთან კომუნიკაციისას წარმოშობილი სირთულეები, ასევე, დადგინდეს დაზარალებულთა კმაყოფილების ხარისხი.

ამოცანა 1.2. საპროცესო დოკუმენტების გამართულობის და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის ზრდა

ქვეყნის მასშტაბით, ოთხასამდე პროკურორი ჩართულია, უშუალოდ, საპროკურორო საქმიანობაში. ისინი, ყოველდღიურ რეჟიმში, საპროცესო ხელმძღვანელობას უწევენ გამოძიებას, ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას და მხარს უჭერენ სახელმწიფო ბრალდებას სამივე ინსტანციის სასამართლოში. როგორც საპროცესო დოკუმენტების შედგენა, ასევე სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა საპროკურორო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რომლებიც არსებითად განაპირობებენ საპროკურორო საქმიანობის ხარისხს. საპროკურორო დოკუმენტები ხშირად ხდება, როგორც მხარეთა, ასევე, პროცესის სხვა მონაწილეთა და საზოგადოების განსჯის საგანი, რის გამოც აუცილებელია, რომ პროკურორის მიერ შედგენილი დოკუმენტი პასუხობდეს მაღალ სტანდარტს, როგორც ფორმალური და შინაარსობრივი, ასევე არგუმენტირებული დასაბუთების კუთხით. ამასთან, პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროკურორის სასამართლო უნარებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკურორი აღჭურვილი იყოს სათანადო ცოდნითა და უნარებით, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესში სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციურ მხარდაჭერას და ღირსეულ მონაწილეობას.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში განხორციელდება საპროცესო დოკუმენტების რეგულარული შეფასება. პროკურორთა საქმიანობის ხარისხი შეფასდება დინამიკაში, რაც დაგვეხმარება ზუსტი და დროული ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებაში. შემოწმების შედეგები აისახება პროკურორთა საბოლოო შეფასებაზე, რაც გავლენას მოახდენს პროკურორის წახალისების, დაწინაურების და რანგირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ✓ გაგრძელდება პროკურორთა მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მონიტორინგი, სასამართლო სხდომებზე დასწრების გზით. მონიტორინგის ფარგლებში, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, შეფასდება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მონაწილე ყველა პროკურორი, საქმის განხილვის სხვადასხვა სტადიაზე;
- ✓ შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ხარვეზების გათვალისწინებით, მომზადდება რეკომენდაციები პროკურორთათვის. რეგულარულად დამუშავდება სასამართლო სხდომებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების ანგარიშები და, მათში ასახული მიგნებების საფუძველზე, დაიგეგმება სამომავლო ინტერვენციები;
- ✓ საჭიროებების შესაბამისად, შემუშავდება და დაინერგება სასწავლო მოდულები;
- ✓ პროკურორები გადამზადდებიან საპროცესო უნარ-ჩვევების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროკურორების მხრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე გამოსვლის სპეციფიკის ათვისებას.

ამოცანა 1.3. საპროცესო შეთანხმებების მოქნილობისა და ეფექტიანობის ზრდა

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მოქნილი და ეფექტიანი გამოყენება. საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვის ალტერნატივას, რა დროსაც მნიშვნელოვნად იზოგება როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლოს რესურსი. საქმე, უდავო წარმოების წესით წარმართვის შემთხვევაშიც კი, სასამართლოში გადის სამ ეტაპს, რაც გრძელდება არანაკლებ ორ თვეს, ხოლო სადავო წარმოების შემთხვევაში, საქმის განხილვის საშუალო ვადა 9 თვეს შეადგენს. აუცილებელია, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი გამოყენებული იქნას უფრო ეფექტიანად, რამდენადაც საპროცესო შეთანხმებების წილის მატების პარალელურად შემცირდება პროკურორების დატვირთვა და გაიზრდება მათი საქმიანობის პროდუქტიულობა.

- ✓ საპროცესო შეთანხმებებზე, ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდებულის მხრიდან უარის თქმის მიზეზი შეთავაზებული მკაცრი სასჯელებია. სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების მიზნით, მოხდება როგორც სისხლის სამართლის კოდექსის გავრცელებულ მუხლებზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელების, ასევე, ბრალდებულის მხრიდან საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის მიზეზების კვლევა. აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით გადამუშავდება და განახლდება რეკომენდაციები საპროცესო შეთანხმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ

და შესაბამისობაში მოვა დღეის მდგომარეობით არსებულ სასამართლო პრაქტიკასთან. აგრეთვე, შესაბამისობაში იქნება მოყვანილი სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან;

- ✓ მაქსიმალურად გამარტივდება საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, რის შედეგადაც შემცირდება საპროცესო შეთანხმების გაფორმების დრო. აღნიშნული შესაძლებელს გახდის საპროცესო შეთანხმება უფრო ხშირად გაფორმდეს წინასასამართლო სტადიაზე, საქმის არსებით განხილვამდე, რაც მაქსიმალურად დაზოგავს ბრალდების და დაცვის მხარეთა, ასევე, სასამართლოს რესურსს;
- ✓ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული დაზარალებულის პოზიცია და მისი ინტერესი ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით.

ამოცანა 1.4. ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დამკვიდრება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების გაძლიერება

აუცილებელია, რომ პროკურატურის საქმიანობაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი წარიმართოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გზით, რომლის ძირითადი არსი, პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან, ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღების იდეას ეფუძნება.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში გაძლიერდება ანალიტიკური მიმართულება. სისტემატურად განხორციელდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები. დამუშავდება უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიცემა კრებულად. აღნიშნული დაეხმარება პროკურორებს მუდმივად ადევნონ თვალი სასამართლო პრაქტიკას და გადაწყვეტილებები შეუსაბამონ სასამართლოების მიერ დადგენილ სტანდარტებს;
- ✓ უმოკლეს ვადებში განახლდება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს გენერალური პროკურორი. პროკურორის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება დაეფუძნება სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპებს, რაც დევნის და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების პროცესს მოაქცევს გარკვეულ ჩარჩოებში, გახდის უფრო თანამიმდევრულსა და გამჭვირვალეს, უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობას;
- ✓ ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოების მიზნით, შემუშავდება და განახლდება რეკომენდაციები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, საპროცესო შეთანხმების გაფორმების, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების და საპროკურორო საქმიანობის სხვა აქტუალურ საკითხებზე. რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენებისა და მათი

ეფექტიანობის დადგენის მიზნით, პერიოდულად მოხდება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ამოცანა 1.5. საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნა

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას ასევე ხელს შეუწყობს საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებების საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე გამიჯვნა. გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის კანონისმიერი ფუნქციაა, თუმცა, აღნიშნული არ უნდა მოიცავდეს გამოძიების პროცესში იმაზე მეტი ინტენსივობით ჩარევას, რაც სცდება უშუალო საპროკურორო ფუნქციებს და უნდა მოიცავდეს გამოძიების პროცესში კანონის შესრულების და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. გამომძიებელი თავად უნდა განსაზღვრავდეს საგამოძიებო სტრატეგიას, ტაქტიკას, საგამოძიებო მოქმედებათა საჭიროებას, მათ თანმიმდევრობას და გამომძიებლის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

აღნიშნული მიზნით:

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში მოხდება საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებათა გამიჯვნის იმპლემენტაცია;
- ✓ საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, გადამზადდებიან გამომძიებლები და პროკურორები უფლებამოსილებათა გამიჯვნის კონცეფციის შესაბამისად;
- ✓ შემუშავდება სახელმძღვანელო მითითებები ფუნქციათა გამიჯვნის შემდეგ საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისათვის. პრაქტიკაში დაინერგება გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, გამომძიებელთა და პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მეორე მხრივ, სწორი და ერთგვაროვანი საგამოძიებო პრაქტიკის დანერგვას;
- ✓ საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების გამიჯვნის შედეგების შეფასების მიზნით, ჩატარდება კვლევა, რომლითაც განისაზღვრება პროკურატურის და საგამოძიებო დანაყოფების თანამშრომელთა კმაყოფილების ხარისხი, ფუნქციათა გამიჯვნის შედეგებთან მიმართებით.

მიზანი 2 - ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

საქართველოს პროკურატურა ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას საგამოძიებო დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე და, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, თავად აწარმოებს გამოძიებას სრული მოცულობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეს მიიჩნევს პრიორიტეტულად, ცალკეული დანაშაულები, მათი სპეციფიკიდან, გავრცელების მასშტაბიდან, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. პროკურატურის მიზანია, 2022-2027 წლების პერიოდში, გარდა ზოგადად, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა, გაიზარდოს ცალკეულ, სპეციფიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა. ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, როგორც სტრატეგიული მიზანი, ემსახურება მდგრადი განვითარების №5 – „გენდერული თანასწორობა“, №10 – „შემცირებული უთანასწორობა“ და №16 - „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ - მიზნების შესრულებას.

ამოცანა 2.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2020 წლის სექტემბერში, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (Moneyval) საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში დაამტკიცა, რომლითაც პოზიტიურად შეფასდა საქართველოს პროკურატურის მიერ, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გატარებული ღონისძიებები. შეფასების თანახმად, საქართველოს აქვს ეფექტიანი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემა ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. ამასთან, საგამოძიებო და საპროკურორო ორგანოები სათანადო რესურსითაა უზრუნველყოფილი. საქართველოს პროკურატურა დაკომპლექტებულია გამოცდილი და მაღალპროფესიონალი კადრებით. მათ გააჩნიათ მრავალფეროვანი საგამოძიებო უფლებამოსილება, რაც საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების საშუალებას აძლევთ.

სამართალდამცავი უწყებები, განსაკუთრებით კი საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალიზებული დანაყოფი, ეფექტიანად იძიებს შესაძლო ფულის გათეთრების დანაშაულებს ფართო საგამოძიებო ტექნიკის გამოყენებით. ასევე, საგამოძიებო უწყებებს შორის არსებობს ქმედითი თანამშრომლობა და კოორდინაცია, რომელიც საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში შექმნილმა მუდმივმოქმედმა სამუშაო ჯგუფმა გააძლიერა.

ფულის გათეთრების დანაშაულებზე გამოძიების და დევნის დაწყების მაჩვენებლის ზრდის ამოცანების შესასრულებლად, (რაც მიმართულია პარალელური ფინანსური გამოძიების ეფექტურობის გაზრდისა და ფულის გათეთრების დანაშაულების აღმოჩენის გაუმჯობესების გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ) საქართველოს პროკურატურა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ პარალელური ფინანსური გამოძიების ეფექტურად წარმართვის მიზნით, შეიმუშავებს გაიდლაინს და აღნიშნული მიმართულებით გადაამზადებს გამომძიებლებსა და პროკურორებს;
- ✓ იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, ექვივალენტური ღირებულების აქტივებისა და დანაშაულის იარაღის კონფისკაციის საკითხებთან დაკავშირებით გადაამზადებს გამომძიებლებსა და პროკურორებს;
- ✓ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, სამართლებრივი დახმარების ფარგლებში შემოსული შუამდგომლობების და მათი შესრულების პროცესში მოპოვებული ინფორმაციის სათანადო ანალიზის საფუძველზე, ფულის გათეთრების შესაძლო დანაშაულის აღმოჩენის მიზნით;
- ✓ შეიმუშავებს რეკომენდაციას, ფულის გათეთრების დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის საკუთრებაში არსებული დაუსაბუთებელი ქონების სამოქალაქო წესით ჩამორთმევის მიზნით, სასამართლოსათვის მიმართვის საკითხებზე;
- ✓ მოახდენს ფულის გათეთრების პრედიკატული დანაშაულების მუხლობრივ განსაზღვრას და აღნიშნული მიმართულებით უზრუნველყოფს ცენტრალიზებული სტატისტიკის წარმოებას;
- ✓ შექმნის სათანადო მექანიზმს, განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული ქონების ერთიანი სტატისტიკის წარმოების უზრუნველსაყოფად;
- ✓ უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის ფორმატის ფარგლებში, გადაიხედება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების არსებული პრაქტიკა და შემუშავებული იქნება ერთიანი მიდგომა აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

ამოცანა 2.2. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან იგი საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ამ ბრძოლის წარმატებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ორგანოების რეპუტაცია და გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით, საქართველოში კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლა არაცენტრალიზებულია. კორუფციული დანაშაულები მიეკუთვნება პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგნობრივ კომპეტენციას. კორუფციული და კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილია კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო.

- ✓ კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება კორუფციულ დანაშაულთა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებში. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, კორუფციული დანაშაულის საკითხებზე მომუშავე პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები გაივლიან სპეციალურ გადამზადებას ანტიკორუფციულ თემატიკაზე, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის მიზნით;
- ✓ პერიოდულად მოხდება საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება კორუფციული დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე;
- ✓ იმის გათვალისწინებით, რომ კორუფციასთან ბრძოლა მხოლოდ ერთი უწყების უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, გაძლიერდება უწყებათაშორისი თანამშრომლობა სამუშაო შეხვედრების ფორმატში, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების ანტიკორუფციულ სააგენტოებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კოორდინაციის საერთო სტრატეგიის დაგეგმვის მიზნით.

ამოცანა 2.3. ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახური დანაშაულები არ წარმოადგენს მხოლოდ სისხლის სამართლის სისტემის გამოწვევას, აღნიშნული საკითხი აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემაა, რომელთან საბრძოლველადაც საქართველოს პროკურატურას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

ქალთა მიმართ გენდერულ და ოჯახში ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ არაერთი სიახლე დანერგა. განხორციელდა პროკურორთა სპეციალიზაცია და, ამჟამად, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებენ და სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერენ მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება როგორც სამართლებრივ, ასევე ფსიქოლოგიურ საკითხებში. სპეციალიზაცია დაინერგა სქესობრივ დანაშაულებზეც. ამ კატეგორიის დანაშაულის საქმეებში პრიორიტეტულად ერთვება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაგრძელდება პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა სპეციალიზაცია ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულების თემაზე. უზრუნველყოფილი იქნება სპეციალიზებული თანამშრომლების მუდმივი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები პრიორიტეტულად ჩაერთვებიან ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სქესობრივი დანაშაულების საქმეებში მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, ემოციური და ინფორმაციული მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული ფუნქციის სრულყოფილად შესასრულებლად, ასევე, გადამზადდებიან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები;
- ✓ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ჩატარდება მულტიდისციპლინური შეხვედრები სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან და უწყებებთან, მათი თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესების, არსებული სერვისების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით. აღნიშნული უზრუნველყოფს დაზარალებულთა საჭიროებების დროულად დაკმაყოფილებას;
- ✓ ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით, გაანალიზდება სასამართლოს გადაწყვეტილებები - განაჩენები და განჩინებები. გაანალიზდება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და სასჯელების დანიშვნის პრაქტიკა, რათა

ზუსტად განისაზღვროს გარემოებები, რომლებსაც მხედველობაში იღებს სასამართლო სასჯელებისა და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას. მოხდება სასამართლო პრაქტიკის გაცნობა პროკურორებისათვის და მათი გათვალისწინება სასწავლო მოდულში. განახლდება სახელმძღვანელო მითითება „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“, რომელშიც დეტალურად გაიწერება აღნიშნული დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობები. სახელმძღვანელო მითითება, ერთი მხრივ, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ოჯახური დანაშაულების საქმეებზე სწორი და ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მნიშვნელოვნად დაზოგავს სასამართლოს და პროკურატურის რესურსს. ასევე, შემუშავდება სახელმძღვანელო მითითება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ. განახლდება სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“;

- ✓ აქტიურად გაგრძელდება ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და სქესობრივი დანაშაულების საქმეების მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების დროულად გამოტანას, სისტემატური ძალადობის გამოკვეთასა და დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას, ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობას, მაკვალიფიცირებელი გარემოებების დადგენას, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად დაწყებას, დაზარალებულად ცნობის და პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირებას და სხვა;
- ✓ გაუმჯობესდება სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის და პრევენციის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს“ კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად და პერიოდულად მოხდება ოჯახურ დანაშაულზე, ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობასა და სქესობრივ დანაშაულებზე არსებული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება პროკურატურის ვებგვერდზე;
- ✓ შესწავლილ იქნება ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვა. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განისაზღვრება სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა;
- ✓ გაიზრდება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე;
- ✓ განხორციელდება „მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის კვლევა“. აღნიშნული კვლევა შეისწავლის სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობას. შეფასდება, თუ რამდენად

მიიღწევა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნები მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის პირობებში; წარმოადგენს თუ არა მოძალადის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, დაპატიმრება ანდა მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ძალადობის შემცირების (რეციდივის თავიდან აცილების) ქმედით მექანიზმს; არის თუ არა სისხლის სამართლის პოლიტიკა მიმართული მოძალადის დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლისკენ, ემსახურება თუ არა მსხვერპლის დაცვას და რამდენად არის მიღწეული აღნიშნული მიზნები. აგრეთვე, კვლევა დაადგენს დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის განმაპირობებელ ფაქტორებს;

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, პროკურატურა გააგრძელებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას სქესობრივ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ, აგრეთვე, განახორციელებს ღონისძიებებს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით;
- ✓ შესწავლილი იქნება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების დატვირთვა. განხორციელდება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი და გაანალიზდება შედეგები. კოორდინატორთა ჩართულობა უფრო ეფექტიანს გახდის ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობის და სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მუშაობას. ხელს შეუწყობს დაზარალებულის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში;
- ✓ გაგრძელდება მენეჯერთა გადამზადება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე;
- ✓ გაგრძელდება პროკურატურის და სასამართლოს თანამშრომლობა ქალთა მიმართ გენდერული, ოჯახური და სქესობრივი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

ამოცანა 2.4. არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით

მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მოწმის უფლებათა დაცვის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, 2015 წლის 12 ივნისს მიღებული იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც 2016 წლის პირველი

იანვრიდან ამოქმედდა. კოდექსის მიღების მომენტიდან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები. სპეციალიზებული პროკურორები მუშაობენ საქართველოს პროკურატურის ყველა ტერიტორიულ და სტრუქტურულ ერთეულში.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაგრძელდება პროკურორთა, გამომძიებელთა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში. გაგრძელდება სპეციალიზებულ თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ურთიერთობის, არასრულწლოვან მოწმეთა დაკითხვის სპეციფიკის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა საკითხებში;
- ✓ მოხდება არასრულწლოვან განრიდებულთა და ბრალდებულთა საქმეების პერიოდული, დეტალური მონიტორინგი, რომელიც აისახება ყოველწლიურ ანგარიშში;
- ✓ დაინერგება დაზარალებულ არასრულწლოვანთა საქმეების მონიტორინგის სისტემა;
- ✓ განხორციელდება არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვის შესწავლა, რომლის შედეგების შესაბამისადაც, საჭიროების შემთხვევაში, გადაიხედება სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობა;
- ✓ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებით უპირატესობა მაქსიმალურად მიენიჭება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებს. აღნიშნულის შედეგად, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაიზრდება არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროცენტული წილი. ამასთან, საქმისწარმოების პროცესში, განრიდება და მედიაცია გამოყენებული იქნება რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს მაქსიმალურად აარიდებს გართულებულ სამართლებრივ პროცედურებს. შემცირდება, სასამართლოს მხრიდან განრიდების მიზნით, პროკურორისათვის არასრულწლოვნის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების მაჩვენებელი;
- ✓ შემცირდება, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ, ასევე დაზარალებულ არასრულწლოვანთა საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების და საქმეთა განხილვის ვადები. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, მინიმუმამდე შემცირდება დაყოვნების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა საქმეებზე და მაქსიმალურად გაიზრდება არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის საქმეთა წილი, რომლებზეც, პროკურორის მხრიდან გადაწყვეტილების მიღება მოხდა დროულად, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;
- ✓ გაიზრდება პროკურორთა მიერ სამართალწარმოების პროცესში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების გამოყენების მაჩვენებელი;

- ✓ პროკურატურა განაგრძობს ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, არასრულწლოვანზე მორგებული გამოკითხვის ოთახები გაიხსნება პროკურატურის არანაკლებ 5 ტერიტორიულ ერთეულში;
- ✓ საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების დასახვის, ბავშვთა უფლებების ეფექტიანი განხორციელების და ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება მულტიდისციპლინური სხდომები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალების მონაწილეობით. სხდომებზე იდენტიფიცირებული გამოწვევების საფუძველზე განისაზღვრება საჭირო ინტერვენციები;
- ✓ საქართველოს პროკურატურა განაგრძობს რთული ქცევის მქონე და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირებას, რათა რეფერირების ფარგლებში, ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ სათანადო სარეაბილიტაციო სერვისებით;
- ✓ განხორციელდება კვლევითი საქმიანობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. პერიოდულად გაანალიზდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი ტენდენციები და დამუშავდება სტატისტიკური ინფორმაცია არასრულწლოვანთა დანაშაულების შესახებ ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა: არასრულწლოვანთა ასაკი და სქესი, არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულთა კატეგორიები და სახეები, სიხშირე, ტერიტორიული განფენილობა და სხვა; ჩატარდება განრიდებულ არასრულწლოვნებში განმეორებით დანაშაულის ჩადენის მაჩვენებლის კვლევა; დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით, ჩატარდება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ძირითადი მახასიათებლების კვლევა, რაზე დაყრდნობითაც, პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობით, დაიგეგმება დანაშაულის პრევენციის სამომავლო ღონისძიებები.

ამოცანა 2.5. ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესება

მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა დაცვა სქესობრივი ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან, რომლის წინააღმდეგაც საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულად მკაცრ პოლიტიკას ატარებს. საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონვენციებით დადგენილი საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების დანერგვას. ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობა და

ექსპლუატაცია განსაკუთრებით სახიფათოა კიბერსივრცის განვითარების და ციფრული საკომუნიკაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის ზრდის გათვალისწინებით.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, საქართველოს პროკურატურა შეინარჩუნებს მკაცრ პოლიტიკას და, ამავდროულად, სისხლის სამართლის პროცესი წარიმართება დაზარალებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სამართალწარმოების პროცესში მიყენებული სტრესის მინიმიზაცია და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება;
- ✓ ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებს მხოლოდ ის პროკურორები და გამომძიებლები წარმართავენ, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური სასწავლო კურსი და მინიჭებული აქვთ სპეციალიზაცია, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ასევე სქესობრივ დანაშაულებში;
- ✓ მინიმუმამდე შემცირდება საგამოძიებო მოქმედებები მსხვერპლი ბავშვის მონაწილეობით. ამგვარი კატეგორიის საქმეებზე, პრიორიტეტულად მოხდება ფსიქოლოგების ჩართვა და საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები დაიგეგმება ფსიქოლოგის მხრიდან ბავშვის მდგომარეობის და საჭიროებების შეფასების საფუძველზე;
- ✓ გაგრძელდება ბავშვთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით განახლდება/შემუშავდება რეკომენდაციები პროკურორებისათვის;
- ✓ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, საინფორმაციო კამპანიებით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად ჩაერთვება ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობისა და ექსპლუატაციის პრევენციაში;
- ✓ საქართველოს პროკურატურა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციის შესაბამისად, შეიმუშავებს სახელმძღვანელო წესებს ე.წ. „სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს პროკურატურის თანამშრომლებისათვის“, რაც დამტკიცდება გენერალური პროკურორის მიერ. პროკურატურა აქტიურად გამოიყენებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის რესურსს არასრულწლოვანთა მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით;
- ✓ საქართველოს პროკურატურის ჩართულობით, დაიხვეწება სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის მიმართ საექსპერტო კვლევების ჩატარების მეთოდოლოგია.

ამოცანა 2.6. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპების - თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევას ეფუძნება. შესაბამისად, ამ ტიპის დანაშაულებთან ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. დისკრიმინაციით მოტივირებული დანაშაულები ეფუძნება შეუწყნარებლობას და, დანაშაულის ჩადენით, ზიანი ადგება არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ იმ ჯგუფსაც, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება და მთლიანად საზოგადოებას, რაც ამ კატეგორიის დანაშაულებს განსაკუთრებით საშიშს ხდის.

შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები უმეტესად ხორციელდება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლები მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლების მხრიდან საჭიროებენ ფრთხილ და სენსიტიურ მიდგომას.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, საქართველოს პროკურატურაში დაინერგა პროკურორთა, გამომძიებელთა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სპეციალიზაცია.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაგრძელდება სპეციალიზაცია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე. ასევე, გაგრძელდება სპეციალიზებული თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. განხორციელდება სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდება/განახლდება სახელმძღვანელო მითითებები;
- ✓ გაუმჯობესდება ინტერსექციული დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირება;
- ✓ გაიზრდება კოორდინაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემატიკაზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ✓ გაუმჯობესდება სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და გამოქვეყნდება მემორანდუმით გათვალისწინებული მონაცემები დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე;

- ✓ დაიგეგმება და განხორციელდება პრევენციული ღონისძიებები საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით.

ამოცანა 2.7. შშმ პირების მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა და შშმ პირთა (მათ შორის შშმ ბავშვთა) მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შშმ პირთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვა. აღნიშნული მიმართულებით ღონისძიებების განხორციელება საქართველოს პროკურატურამ 2016 წლიდან დაიწყო.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების თაობაზე“. აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება მიზნად ისახავდა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში შშმ მოწმის/დაზარალებულის საჭიროებებისა და მათთან ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას გასათვალისწინებელი გარემოებების განსაზღვრას, ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის №52-გ ბრძანებით.

ევროპის საბჭოს ექსპერტული დახმარებით, საქართველოს პროკურატურაში პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის შემუშავდა და საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა 2 სახელმძღვანელო მითითება:

1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდიკის შესახებ“.

2. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდიკის შესახებ“.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობა;
- ✓ უზრუნველყოფილი იქნება გონივრული მისადაგება სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში შშმ პირების უფლებებისა და მათი საჭიროებების გათვალისწინებით;
- ✓ სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის მიზნით, ჩატარდება სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი;
- ✓ გაძლიერდება მულტიდისციპლინური მუშაობა სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებთან შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით;
- ✓ გაგრძელდება თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან;
- ✓ გაგრძელდება პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების თემაზე.

ამოცანა 2.8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის 1 ივლისის ანგარიშის თანახმად, საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და განაგრძობს მტკიცე და შეუქცევად ძალისხმევას ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით, რაც განაპირობებს ქვეყნის დადებით შეფასებას - ოთხშკალიანი რეიტინგული სისტემის პირველ, უმაღლეს კალათაში ყოფნას. შრომითი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიზანია სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა ამ დანაშაულთან ეფექტიანად ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს. პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ტრეფიკინგის ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობა, რაც სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციური მხარდაჭერით სრულდება.

- სტრატეგიის მოქმედების პერიოდში გაძლიერდება ძალისხმევა ბავშვთა ტრეფიკინგისა და შრომითი ექსპლუატაციის იდენტიფიკაციის და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად;
- გადამზადდებიან ტრეფიკინგის დანაშაულზე მომუშავე პროკურორები (მათ შორის - ე.წ. „Task Force"-ის წევრები), აგრეთვე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულებას და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გაგზავნის ვადების მაქსიმალურად შემცირებას;
- სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად, გაანალიზდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ახალი ტენდენციები, განხორციელდება მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება;
- გაგრძელდება მულტიდისციპლინური მუშაობა მართლმსაჯულების ჯაჭვში შემავალ სახელმწიფო უწყებებთან, ტრეფიკინგის სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

ამოცანა 2.9. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვნად იზრდება რეგისტრირებული კიბერდანაშაულის რიცხვიც. თუკი, 2018 წლისათვის რეგისტრირებული იქნა 1268 კომპიუტერული დანაშაული, 2020 წლისათვის რეგისტრირებული კომპიუტერული დანაშაულების რიცხვმა 2143-ს მიაღწია.[4] აღსანიშნავია, რომ გაფართოვდა კიბერდანაშაულის ჩადენის ხერხებიც და კიბერდანაშაულების ჩასადენად უფრო და უფრო რთული მეთოდები და საშუალებები გამოიყენება.[5] აღნიშნული სტატისტიკა ცალსახად ცხადყოფს, რომ კომპიუტერული დანაშაული, ქართული სამართალდამცავი სისტემისათვის, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსათვის, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

[4] https://info.police.ge/uploads/60129cf62e974.pdf

[5] კიბერდანაშაული საქართველოში - არსებული გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები https://pmcg-i.com/publications_file/f59960631d285d042.pdf

კიბერდანაშაულების ზრდადი ტენდენცია საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მუდმივ განვითარებასა და მზადყოფნას მოითხოვს.

- ✓ საქართველოს პროკურატურა, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, კიბერდანაშაულების საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაზრდის კიბერდანაშაულზე სპეციალიზებული პროკურორების რაოდენობას, უფრო ინტენსიური გახდება კიბერდანაშაულის თემატიკაზე პროკურორების საბაზისო გადამზადება;
- ✓ გაუმჯობესდება კიბერდანაშაულის საქმეებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პრიორიტიზაციის პოლიტიკა;
- ✓ პრაქტიკოსებისთვის შეიქმნება ელექტრონული მტკიცებულებებისა და კიბერდანაშაულების სახელმძღვანელოები;
- ✓ საქართველოს პროკურატურა კიბერდანაშაულის საქმეებზე გაზრდის კოორდინაციას სხვა საგამოძიებო უწყებებთან და კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფთან (CERT);
- ✓ საქართველოს პროკურატურა, სხვა საგამოძიებო უწყებებთან ერთად, გააფართოებს თანამშრომლობას ეროვნულ და უცხოურ ინტერნეტ მომსახურების მომწოდებლებთან;
- ✓ შეიქმნება კიბერდანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო, რომლის პროკურორებიც, სათანადო გადამზადების შემდეგ, ვიწრო სპეციალიზაციის შემდგომ, საპროცესო ხელმძღვანელობას გაუწევენ კიბერდანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ამ კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობას.

ამოცანა 2.10. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

პრობლემურ საკითხად რჩება სამუშაო ადგილზე დაშავებისა და გარდაცვალების მაღალი მაჩვენებელი. უმრავლეს შემთხვევაში, აღნიშნულის მიზეზი სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევაა. მიუხედავად აღნიშნულისა, ზემოხსენებული კატეგორიის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი დაბალია.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, ყოველწლიურად დამუშავდება და პროაქტიულად გამოქვეყნდება ინფორმაცია სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიების შედეგების შესახებ, სამუშაო ადგილებზე დაშავებისა და გარდაცვალების შემთხვევებზე სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების შედეგების თაობაზე;
- ✓ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, მოხდება სისხლის სამართლის კოდექსის 240-245-ე მუხლებით

გამოძიებადაწყებულ სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა და მომზადდება შესაბამისი ანალიზი. საქმეთა შესწავლისას იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, პროკურორებისთვის შემუშავდება სახელმძღვანელო მითითება და პერიოდულად მოხდება მისი შესრულების მონიტორინგი;

- ✓ გაძლიერდება უწყებებს შორის თანამშრომლობა - პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საექსპერტო დაწესებულებების, პროფკავშირებისა და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის მონიტორინგის, იდენტიფიცირების და გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში არსებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით.

ამოცანა 2.11. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

საქართველოს პროკურატურისათვის საყურადღებო საკითხს წარმოადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილ, ე.წ. „ეკოლოგიურ დანაშაულებთან“ ბრძოლის ეფექტიანობა. მზარდია ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლუატაციასთან და გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები, რაც ეკოსისტემას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, პირველ ეტაპზე, მოხდება სისხლის სამართლის კოდექსის 287-306-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი. გამოიკვეთება გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზები, რომლის საფუძველზეც პროკურორებისთვის შემუშავდება სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულების მონიტორინგის მიზნით, ყოველწლიურად მოხდება სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა;
- ✓ გაძლიერდება უწყებათა შორის თანამშრომლობა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ეკოლოგიური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავების მიზნით;
- ✓ გაძლიერდება საზოგადოებრივი კამპანია ეკოლოგიურ დანაშაულებზე საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, ყოველწლიურად დამუშავდება და პროაქტიულად გამოქვეყნდება ინფორმაცია ეკოლოგიურ დანაშაულთა გამოძიების შედეგების შესახებ.

ამოცანა 2.12. პირადი ცხოვრების ხელყოფის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

2025 წლის 1 ივლისიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმების შემდეგ, მის ქვემდებარე დანაშაულებზე, მათ შორის, პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით, გამოძიების უფლებამოსილება გადმოეცა საქართველოს პროკურატურას. შესაბამისად, გენერალური პროკურორის ბრძანებით, ახლებურად მოწესრიგდა პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი, სადაც აისახა სსკ-ის 157-159-ე მუხლებიც.

პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, თბილისის პროკურატურაში შეიქმნა სპეციალური დანაყოფი - პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. სამმართველო დაკომპლექტდა მაღალი კომპეტენციის მქონე გამომძიებლებით, რომელთაც აქვთ გავლილი გადამზადება პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურორის №217-გ ბრძანებით, სსკ-ის 157-ე, 157[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც დაზარალებული არასრულწლოვანია, პრიორიტეტულად უნდა განხორციელდეს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართვა, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული დაზარალებულის ინტერესები.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოციალური აქტივობების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. შესაბამისად, მოიმატა სოციალური ქსელების თუ სხვა ინტერნეტ პლატფორმების მეშვეობით, ონლაინ სივრცეში დანაშაულის ჩადენის ფაქტებმა. კიდევ უფრო მზარდია საფრთხე პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებულ დანაშაულებში, სადაც დაზარალებულად ხშირად არასრულწლოვნები გვევლინებიან.

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების ეფექტიანად ჩატარებას და შემაჯამებელი გადაწყვეტილების დროულად მიღებას. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოძიების მიმდინარეობის პროცესში დაზარალებულის ინფორმირებულობის და ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

პროკურატურა წლებია მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ, რასაც მომავალშიც განაგრძობს.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე რეაგირების ეფექტიანობის გასაზრდელად, დაიგეგმება და განხორციელდება რიგი აქტივობები. კერძოდ:

- უზრუნველყოფილი იქნება პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მომუშავე პროკურორების, გამომძიებლებისა და კოორდინატორების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.
- განხორციელდება სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა, რა დროსაც ყურადღება მიექცევა გამოძიების დაწყების დროულობას, გამოძიების დროულად, სრულყოფილად და ყოველმხრივ ჩატარებას, დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას გაჭიანურების გარეშე. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მომზადდება ანალიზი, რაც ხელმისაწვდომი იქნება პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის.
- სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით, გაანალიზდება ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე მიღებული სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები.
- პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გაიზრდება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების მაჩვენებელი.
- გამოძიებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე მომზადდება სახელმძღვანელო მითითება პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიების და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ.
- სკოლებში დაიგეგმება და განხორციელდება აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავს პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლებას. მათ შორის, გაიმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ასევე, მშობლებთან და სკოლის პერსონალთან.
- ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მომზადდება საინფორმაციო ბუკლეტები პირადი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და მათზე რეაგირების მექანიზმებზე.
- კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმება და გაიმართება უწყებათაშორისი შეხვედრები.
- ყოველწლიურად დამუშავდება შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია, რაც გამოქვეყნება პროკურატურის ვებგვერდზე.

ამოცანა 2.13. თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიით მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდას.

პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საპროკურორო საბჭოს მიერ საქართველოს გენერალურ პროკურორს წარედგინა რეკომენდაცია თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად ცალკეული ღონისძიებების გატარების შესახებ. აღნიშნულის შემდგომ, 2024 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო

საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. საქმეთა შესწავლის ფარგლებში გამოვლინდა ქმედების სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი მიდგომები. აგრეთვე, როგორც საქმის გამოძიების, ასევე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები, რასაც, რიგ შემთხვევებში, განაპირობებს თაღლითობის საქმეებზე საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვისა და ჩატარების თავისებურება, გამოძიების სირთულე და კომპლექსურობა.

თაღლითობის დანაშაულის შედეგად, როგორც წესი, დაზარალებულად გვევლინება ფიზიკური პირი, რომლის დარღვეული უფლებების აღდგენა შესაძლებელი ხდება სრულყოფილი და კვალიფიციური გამოძიების ჩატარებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების დროულად მიღების შემთხვევაში.

ბოლო წლებში, გამოძიების დაწყების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების მიხედვით თაღლითობა სხვა დანაშაულებს შორის პირველ ათეულში იკავებს ადგილს.

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის 2025 წლის 10 სექტემბრის №027 ბრძანებით, თბილისის პროკურატურის დებულებაში განხორციელდა ცვლილება და თბილისის პროკურატურაში შეიქმნა თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებსა (გარდა ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თაღლითობის წინააღლდეგ ბრძოლის სამმართველოსა) და სტრუქტურულ ქვედანაყოფში - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში (სამმართველო) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობის და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება და აღნიშნული საგამოძიებო დანაყოფების მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.

თაღლითობის საქმეებზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში დაიგეგმება და განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- შესწავლილი იქნება თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეები, რა დროსაც ყურადღება მიექცევა გამოძიების დაწყების დროულობას, გამოძიების სრულყოფილად, ყოველმხრივ და შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებას, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების დროულად გამოტანას, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას გაჭიანურების გარეშე. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მომზადდება ანალიზი, რაც ხელმისაწვდომი იქნება პროკურორებისათვის.

- თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების და სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით, გაანალიზდება სასამართლოს გადაწყვეტილებები - აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების განჩინებები და განაჩენები.
- გამოძიებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, მომზადდება სახელმძღვანელო მითითება თაღლითობის საქმეებზე გამოძიების და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ.
- მოხდება თაღლითობის დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე მომუშავე პროკურორთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც სისხლის სამართლის, ასევე, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სფეროში.
- შეფასდება თაღლითობის საქმეებზე მომუშავე პროკურორთა დატვირთვა და, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება თანამშრომელთა როტაცია.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, თაღლითობის დანაშაულთან დაკავშირებით გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები.
- უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმება და გაიმართება შეხვედრები.
- თაღლითობის დანაშაულზე ყოველწლიურად დამუშავდება სტატისტიკური ინფორმაცია, რაც გამოქვეყნება პროკურატურის ვებგვერდზე.

ამოცანა 2.14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეკეტული, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის ეფექტიანობის ზრდა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავით გათვალისწინებული რეკეტული, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მექანიზმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს. საქართველოს პროკურატურის პრიორიტეტია, რომ იგი პრაქტიკაში ეფექტიანად იქნეს გამოყენებული.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შეფასების მეხუთე რაუნდის ანგარიშში, ევროპის საბჭოს Moneyval-ის კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია ქონების ჩამორთმევის ზემოაღნიშნული სისტემის გაძლიერება. მისი რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილია, რომ პროკურატურის სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვროს ქონების ჩამორთმევის სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმი, რასაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი სახელმძღვანელო წესების გამოცემა და ტრენინგები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეკეტული, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში:

- ✓ გამოიცემა სახელმძღვანელო წესები პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისათვის რეკეტული, უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე;

- ✓ ჩატარდება პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების ტრენინგები სახელმძღვანელო წესებით გათვალისწინებულ საკითხებზე;

- ✓ განხორციელდება ქონების ჩამორთმევის სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმის ფუნქციონირების მონიტორინგი;

- ✓ გაიმართება პრაქტიკოსების სამუშაო შეხვედრები თანამშრომლობის, კოორდინაციისა და გამოწვევების საკითხებზე.

მიზანი 3 - საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება

საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში ქვეყნის მთავარი უფლებამოსილი ორგანოა. საქართველოს გენერალური პროკურატურის კომპეტენციაში საერთაშორისო თანამშრომლობის შემდეგი მიმართულებები შედის: ექსტრადიციები და კრიმინალური ძებნა ინტერპოლის არხებით; სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარება; უცხო სახელმწიფოში სისხლის სამართლის საქმეების გადაგზავნა შემდგომი წარმოების მიზნით; მულტინაციონალურ ონლაინ სერვის პროვაიდერებთან თანამშრომლობა და დანაშაულებრივი ქონების მოძიების/ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობა.

საქართველოს პროკურატურამ, საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული შვიდი ამოცანა შეასრულა, რომელთა შორის აღსანიშნავია: საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებში საქართველოს მონაწილეობის გაზრდა; ონლაინ სერვის პროვაიდერებთან თანამშრომლობის გაფართოება და საქმისწარმოების ეფექტურობის ზრდა გაციფრულების გზით. შრომატევადი პროცესის შემდეგ, საქართველომ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა EUROJUST-თან, რომელიც უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობის კუთხით. იმავე პერიოდში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დანერგა საქმეების ელექტრონული მართვის პროგრამა (LURIS), რომელიც საქმისწარმოების ხარისხსა და ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის. ასევე, საქართველოს პროკურატურამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მულტინაციონალურ ონლაინ სერვის პროვაიდერებთან სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის კუთხით. უფრო მეტიც, ზოგიერთ პროვაიდერთან (Facebook) თანამშრომლობის ხარისხით საქართველო გლობალური ლიდერი იყო.

2022-2027 წლებისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პროკურატურა შემდეგ 5 ამოცანას ისახავს:

1. სამართლებრივი დახმარების პროცესის გაუმჯობესება;
2. ექსტრადიციის პროცესის გაუმჯობესება;
3. სამართლებრივი დახმარების გამარტივებულ ფორმებსა და ალტერნატივებზე წვდომის გაფართოება;
4. დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და დაბრუნების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდა;
5. ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდა;

ამოცანა 3.1. სამართლებრივი დახმარების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება

სამართლებრივი დახმარების ექსპორტი

ბიუროკრატიულობა და ნელი პროცესი სამართლებრივი დახმარების უმთავრესი პრობლემაა გლობალურად. დაყოვნებით მიღებული სამართლებრივი დახმარება მნიშვნელოვნად აფერხებს და ზოგჯერ წარუმატებელს ხდის გამოძიებასა და მთლიან სისხლის სამართლის პროცესს. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი დახმარების პროცესის ეფექტურობის მთავარი ინდიკატორი სისწრაფეა.

2020 წლის მდგომარეობით, უცხო ქვეყნებისათვის გასაწევი სამართლებრივი დახმარების პროცესის ხანგრძლივობა პრიორიტეტულ საქმეებზე საშუალოდ 3-4 თვეს შეადგენდა, ხოლო რეგულარულ საქმეებზე 6 თვეს აღემატებოდა. მითითებული პერიოდები სხვა სახელმწიფოების პრაქტიკასთან შედარებით არ არის არაგონივრულად დიდი დრო, თუმცა, შესაძლებელია ამ დროის შემცირება დოკუმენტების ელექტრონული მიმოცვლის დანერგვის, პროცესების სტანდარტიზაციის, ოპტიმიზაციის, ავტომატიზაციის, მონიტორინგის გაუმჯობესებისა და თანამშრომლების სწავლების გზით.

სამართლებრივი დახმარების გაწევისათვის საჭირო დროის შემცირებით საქართველო კიდევ უფრო გაიუმჯობესებს თავის რეპუტაციას, როგორც საიმედო პარტნიორის. შედეგად, პროკურატურა უფრო სწრაფ და უკეთესი ხარისხის დახმარებას მიიღებს.

სამართლებრივი დახმარების იმპორტი

სხვა სახელმწიფოებისგან მისაღები სამართლებრივი დახმარების პროცესი უმეტესწილად დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს ეფექტიანობაზე. ამ მხრივ, საქართველოს მცირე ბერკეტები გააჩნია. სახელმწიფოებთან გამართული სახელშეკრულებო ბაზის არსებობა წარმატებული თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. დღეის მდგომარეობით, სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულებები საქართველოს ძირითადად ევროპულ ქვეყნებთან აქვს. საქართველოს პროკურატურა, მითითებული ამოცანის ფარგლებში, მოლაპარაკების გზით, გაზრდის იმ სახელმწიფოების რიცხვს, რომლებთანაც საქართველოს სამართლებრივი დახმარების სფეროში სახელშეკრულებო ურთიერთობები ექნება.

ამოცანა 3.2. ექსტრადიციის პროცესის ეფექტიანობის ზრდა

საქართველოს გენერალური პროკურატურა ექსტრადიციის საქმეებზე ქვეყნის მთავარი უფლებამოსილი ორგანოა. გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურა ექსტრადიციის საქმეებზე, სასამართლოებში დასაშვებობის პროცესის მიმდინარეობისას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

ექსტრადიციის პროცესი, მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოებში, ხანგრძლივია და შესაძლოა რამდენიმე წელიც მიმდინარეობდეს. საქართველოდან ექსტრადიციის პროცესი საშუალოდ 1.5 წელი გრძელდება, თუმცა შესაძლოა რამდენიმე დღეში დასრულდეს ან შესაბამისი გარემოებების არსებობისას რამდენიმე წელიც გაგრძელდეს.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, ექსტრადიციის პროცესის ხანგრძლივობა შესაძლოა შემცირდეს პროცესების ოპტიმიზაციის, სტანდარტიზაციის, საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებების გზით.

რაც ეხება უცხოეთიდან საქართველოში პირების ექსტრადიციას, ამ პროცესში საქართველოს მინიმალური ბერკეტები გააჩნია. ამავდროულად, უმეტესი სახელმწიფოებიდან პირის ექსტრადიციისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობა აუცილებელი წინაპირობაა. დღეის მდგომარეობით, ხელშეკრულებები საქართველოს ძირითადად ევროპულ ქვეყნებთან აქვს დადებული. საქართველოს პროკურატურა, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, მოლაპარაკების გზით, გაზრდის იმ სახელმწიფოების რიცხვს, რომლებთანაც ექსტრადიციების სფეროში სახელშეკრულებო ურთიერთობები ექნება. საჭიროებების და შესაბამის სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების მდგომარეობის გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით, სულ შვიდ სამიზნე სახელმწიფოსთან დგას დღის წესრიგში ექსტრადიციის სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა.

ამოცანა 3.3. სამართლებრივი დახმარების გამარტივებულ ფორმებსა და ალტერნატივებზე წვდომის გაფართოება

ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია უცხო სახელმწიფოებიდან მტკიცებულებების მოპოვება სამართლებრივი დახმარების ხანგრძლივი და ბიუროკრატიული პროცედურების გვერდის ავლით ან სამართლებრივი დახმარების გამარტივებული პროცედურების გამოყენებით. სამართლებრივი დახმარების შედარებით გამარტივებული და სწრაფი პროცედურების მაგალითია დისტანციური გამოკითხვა/დაკითხვა (ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წარმომადგენლების მონაწილეობით ან მათ გარეშე). რაც შეეხება ალტერნატივებს, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს პროკურატურა უცხოური ონლაინ სერვის პროვაიდერებისგან ინტენსიურად იღებდა მონაცემებს პირდაპირ, სხვა სახელმწიფოებში (სადაც ეს დაშვებულია) დისტანციურად ჰკითხავდა მოწმეებს და ა. შ.

სამართლებრივი დახმარების გამარტივებულ ფორმებსა და ალტერნატივებზე წვდომის კუთხით, ძირითადი სირთულეები უკავშირდება პრაქტიკოსებში ამ შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების სიმწირეს, ცალკეული პროვაიდერების მხრიდან თანამშრომლობის სურვილის ნაკლებობას და სახელმწიფოების ზოგად კონსერვატიულ მიდგომებს.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, საქართველოს პროკურატურა გააფართოებს სამართლებრივი დახმარების გამარტივებული ფორმებისა და ალტერნატივების ხელმისაწვდომობას, სხვა სახელმწიფოებთან და ონლაინ სერვის პროვაიდერებთან მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების მიღწევისა და, ამ შესაძლებლობების შესახებ, პროკურატურის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების გზით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოების დიდ ნაწილს ძალზე კონსერვატიული მიდგომა აქვს სამართლებრივი დახმარების პროცესთან დაკავშირებით. ამდენად, ბევრ ასეთ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება, შესაძლოა, არ იყოს წარმატებული.

ამოცანა 3.4. დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება

სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულების უმეტესობის მთავარი მოტივატორი ფინანსური სარგებლის მიღებაა. ამგვარი დანაშაულების შედეგად მიღებული ქონება ყოველწლიურად 750 მილიონი დოლარიდან 1.87 მილიარდ დოლარამდე მერყეობს (UNODC). დანაშაულებრივი ქონების დიდი ნაწილის გადამალვა და გათეთრება სხვა სახელმწიფოებში ხდება. ამდენად, დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი საშუალებაა სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის საკითხები დეტალურად დარეგულირდა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონით. გარდა ამისა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველომ მონაწილეობა გაზარდა დანაშაულებრივი ქონების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებში (მაგ. CARIN, EU ARO Platform).

უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობა შედარებით ახალი ფორმაა. ამდენად, ამ სფეროში ეფექტიანობის გაზრდისათვის საჭიროა თანმიმდევრული პრაქტიკისა და პოლიტიკის ჩამოყალიბება. ამასთან, აუცილებელია პრაქტიკოსებს შორის ინფორმირებულობის გაზრდა.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, საქართველოს პროკურატურა დანაშაულებრივი ქონების მოძიებისა და ჩამორთმევის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობას გააუმჯობესებს საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობის გაზრდის, პრაქტიკოსებში

ცნობიერების ამაღლების, პროცესების სტანდარტიზაციის და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავების გზით.

ამოცანა 3.5. ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის გაუმჯობესება

ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულები განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე. სწორედ ამიტომ, საქართველოს პროკურატურისთვის ამ კატეგორიის დანაშაულებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ქსელებში საქართველოს მონაწილეობა, ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის, რომლებიც დღეის მდგომარეობით სრულად არ არის ათვისებული.

2019 წლიდან ძალაში შევიდა თანამშრომლობის შეთანხმება საქართველოსა და EUROJUST-ს შორის. ორგანიზაცია, ევროკავშირის წევრებსა და პარტნიორ სახელმწიფოებს, სხვა შესაძლებლობებთან ერთად, სთავაზობს ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნასა და სამართლებრივი დახმარების პროცესის ეფექტურობის ხელშეწყობას მეკავშირე ოფიცრების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საკმაოდ აქტიურად იყენებდა EUROJUST-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ფასილიტაციის შესაძლებლობებს, ჯერ კიდევ არ აუთვისებია ისეთი მომსახურებები, როგორიცაა: ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში თანამშრომლობა და ექსპერტულ ფორუმებში მონაწილეობა.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, საქართველოს პროკურატურა ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის საქმეებზე გააუმჯობესებს საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობას პრაქტიკოსებში ცნობიერების ამაღლების, საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებში მონაწილეობის გაზრდის, თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავების, პროცესების სტანდარტიზაციის და ოპტიმიზაციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა EUROJUST-ის მეშვეობით თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

მიზანი 4 - ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესება

ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესება მიზნად ისახავს გაზარდოს საქართველოს პროკურატურის შესაძლებლობები მაღალკვალიფიციური, თანამედროვე უნარების მქონე და მოტივირებული თანამშრომლებით დაკომპლექტების გზით. მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის საკადრო პოლიტიკა მორგებული იყოს პროკურატურის განვითარების გრძელვადიან საჭიროებებზე. პროკურატურის მიზანია შეიძინოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები, შეუქმნას მათ მოტივაცია, შრომის ღირსეული და შესაფერისი პირობები, უზრუნველყოს ისინი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების შესაძლებლობით, სათანადო სამართლებრივი და სოციალური გარანტიებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გაუმჯობესება, როგორც სტრატეგიული მიზანი, ემსახურება მდგრადი განვითარების №5 – „გენდერული თანასწორობა“, №8 – „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“, №12 - „მდგრადი მოხმარება და წარმოება“ და №16 - „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ - მიზნების შესრულებას.

ამოცანა 4.1. პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა

პროკურატურის ინსტიტუციური და პროკურორის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა, საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანი და მიუკერძოებელი განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. პროკურორთა როლის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები ადგენს, რომ სახელმწიფომ ეფექტიანი ზომები უნდა მიიღოს, რათა პროკურატურის დამოუკიდებლობის ფარგლები კანონით იქნეს დადგენილი. თითქმის ანალოგიური შინაარსის დებულებებს შეიცავს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებული პროკურორთა პროფესიული პასუხისმგებლობის, ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების სტანდარტები.

პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ზრდის კუთხით, გასული წლების განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: პროკურატურა გამოეყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეიქმნა და ექსკლუზიური უფლებამოსილებებით აღიჭურვა საპროკურორო საბჭო, შეიქმნა სამი მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო, რანგირების საბჭო და სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. ორგანული კანონითვე განისაზღვრა ხსენებული სათათბირო ორგანოების

უფლებამოსილებები. ამის პარალელურად, კვლავ რჩება გამოწვევები პროკურორის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ხარისხის მიმართულებით.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაიზრდება პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლი და გაფართოვდება მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთა წრე. გაიზრდება კოლეგიური ორგანოების როლი პროფესიული ეთიკის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, დაწინაურება-წახალისების, სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის ნაწილში.

„პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია ერთიანობა და ცენტრალიზაცია. ამავე კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ქვემდგომი პროკურორი და პროკურატურის სხვა თანამშრომელი ვალდებული არიან შეასრულონ ზემდგომი პროკურორის ყველა კანონიერი მოთხოვნა და მითითება. მიუხედავად იერარქიულად დაქვემდებარებული სისტემისა, მნიშვნელოვანია, პროკურორი დამოუკიდებლად იღებდეს გადაწყვეტილებებს მისი საპროცესო ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, შემუშავდება/განახლდება სახელმძღვანელო მითითებები საპროკურორო საქმიანობის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება და სხვა.

დაიხვეწება პროკურორთათვის საქმეების განაწილების და საქმის ჩამორთმევის პროცედურები და კრიტერიუმები.

ამოცანა 4.2. პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციის ზრდა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

თანამშრომელთა მოტივაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ნებისმიერი უწყებისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. მოტივაციის ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად აუცილებელია თანამშრომელთა საჭიროებების და მოთხოვნილებების სწორად იდენტიფიცირება და სათანადო პირობების შექმნა. მხოლოდ სათანადოდ მოტივირებული თანამშრომლების არსებობის პირობებშია შესაძლებელი თანამშრომელთა საქმიანობა მიემართოს დასახული მიზნებისაკენ. შესაბამისად, თანამშრომელთათვის მზარდი მოტივაციის შექმნა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

იმისათვის, რომ მოხდეს, ერთი მხრივ, თანამშრომელთა მოტივაციის და შრომითი კმაყოფილების დონის, ხოლო მეორე მხრივ, მათი საჭიროებების და მოთხოვნილებების ზუსტად განსაზღვრა, სტრატეგიის მოქმედების პერიოდში:

- ✓ ყოველწლიურად ჩატარდება პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციისა და კმაყოფილების კვლევა, რომელიც იქნება ნებაყოფლობითი და ანონიმური. კვლევა შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა: სამუშაო გარემო, კორპორატიული კულტურა, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა, ზეგანაკვეთური შრომის საჭიროება, სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. კვლევის შედეგების შესაბამისად, ყოველწლიურად განხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისაკენ, მათი კმაყოფილებისა და მოტივაციის დონის მატებისაკენ;
- ✓ დაიხვეწება თანამშრომელთა რანგირების სისტემა. შესრულებული სამუშაოს ხარისხის და სხვა მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით, თანამშრომლებს მიენიჭებათ შესაბამისი რანგები, რაც აისახება თანამშრომლის შრომის ანაზღაურებაზე. შემოღებული იქნება წელთა ნამსახურობისა და წოდების შესაბამისი სახელფასო დანამატი. უფრო ხშირად მოხდება თანამშრომელთა წახალისება სამსახურებრივი საქმიანობის კეთილსინდისიერად და მაღალკვალიფიციურად შესრულებისათვის. საბოლოო მიზანი იქნება პროკურორების და პროკურატურის გამომძიებელთა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის მაქსიმალური დაახლოება საერთაშორისოდ აპრობირებულ სტანდარტებთან;
- ✓ თანამშრომელთა მოტივაციისათვის ასევე მნიშვნელოვანია მათი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, სამსახურებრივი საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. პრობლემად რჩება სტრუქტურული ერთეულების დიდ ნაწილში ინდივიდუალური სამუშაო ოთახების არარსებობა, რაც სამუშაო პროცესს ნაკლებად პროდუქტიულს ხდის. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, პროკურატურის ოფისების რეკონსტრუქციის დროს, გათვალისწინებული იქნება სამუშაო ოთახების იმგვარი განლაგება, რომელიც უზრუნველყოფს ერთ სივრცეში შეძლებისდაგვარად მინიმალური ოდენობის თანამშრომლების განთავსებას;
- ✓ განხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები პროკურორთა შორის საქმეთა თანაბარი განაწილების მიზნით. მოხდება პროკურორთა თანაბარი დატვირთვის პერიოდული მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება რეკომენდაციები საქმეთა თანაბარი განაწილების მისაღწევად;
- ✓ გაიზრდება ციფრული ტრანსფორმაციის არსებული ნიშნული. დაგეგმილია პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის გაციფრულება. შეფასების სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა მორგებული იქნება ამ პროცესში ჩართულ ყველა უფლებამოსილ სუბიექტზე, რომელთაც, შესაბამისი ტექნოლოგიური ხელსაწყოების გამოყენებით, მონაცემთა სწრაფი და

ეფექტიანი დამუშავების საფუძველზე, შეეძლებათ მიიღონ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია და შეძლონ შეუფერხებელი უკუკავშირი შეფასების სისტემის მეტად დახვეწისა და მოდერნიზების მიზნით;

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, შეიქმნება სამართალწარმოების მხარეებს შორის მტკიცებულებათა გაცვლის ელექტრონული პლატფორმა, რომელიც პროკურორებს შესაძლებლობას მისცემს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მასალების გაცვლა დაცვის მხარესთან მოახდინონ ელექტრონულად, რაც პროკურორის დროისა და მატერიალური რესურსის დაზოგვას შეუწყობს ხელს. შეიქმნება პროგრამული უზრუნველყოფა ადამიანური რესურსების მართვისა და მენეჯმენტის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განკარგვის, ნივთმტკიცებათა შენახვისა და ბრუნვის პროცესების ელექტრონიზაციის მიზნით.

ამოცანა 4.3. თანამშრომელთა შერჩევისა და როტაციის სისტემის გაუმჯობესება

სწორი საკადრო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელთა სამსახურში აყვანა, როტაცია, დაწინაურება მოხდეს მკაფიოდ გაწერილი, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური პროცედურების გზით.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, ჩატარდება საკადრო საჭიროებების პერიოდული შეფასება, რათა ზუსტად განისაზღვროს თითოეულ სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულში თანამშრომლების როტაციის, ასევე დამატებითი სპეციალიზაციის საჭიროება;
- ✓ დაიხვეწება თანამშრომლების სამსახურში მიღების ცალკეული საკითხები. კერძოდ, გარდა პროფესიული ცოდნისა და უნარებისა, თანამშრომელთა სამსახურში აყვანისას ყურადღება მიექცევა ფსიქოლოგიურ კომპონენტს;
- ✓ გაიზრდება საზოგადოების ჩართულობა თანამშრომელთა შერჩევის პროცესში. სტაჟირების კომისიაში, გარდა პროკურატურის თანამშრომლებისა, მოხდება სამოქალაქო საზოგადოების და სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების მოწვევა;
- ✓ ყურადღება მიექცევა დამატებითი ცოდნისა და უნარების, განსაკუთრებით კიბერცოდნის მქონე თანამშრომლების მოზიდვას.

ამოცანა 4.4. თანამშრომელთა განგრძობადი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა

პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება დიდწილად განსაზღვრავს სისტემის წარმატებულ და ეფექტიან მუშაობას. მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაცია მუდმივად თანხვედრაში იყოს თანამედროვე სტანდარტებთან, შიდაეროვნულ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში:

- ✓ საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს თანამშრომელთა განგრძობად პროფესიულ განათლებასა და გადამზადებას. განგრძობადი განათლების პროგრამები დაიგეგმება სამიზნე ჯგუფების საჭიროებების შესაბამისად;
- ✓ შეიქმნება პროფესიული საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სასწავლო პროგრამის სტრუქტურის შექმნაზე და პასუხისმგებელი იქნება პროგრამების შინაარსსა და მეთოდოლოგიაზე;
- ✓ გაძლიერდება თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სასწავლო მოდულების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით;
- ✓ შეირჩევიან კვალიფიციური ტრენერები, როგორც პროკურატურის თანამშრომელთაგან, ასევე, აკადემიური წრეებიდან, რომლებიც გაივლიან სპეციალურ გადამზადებას;
- ✓ გაძლიერდება დისტანციური სწავლების კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას სასწავლო მოდულებში ძირითადი სამუშაო პროცესისგან მოწყვეტის გარეშე;
- ✓ განახლდება სასწავლო მასალები და მოხდება მათი ელექტრონულად შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.5. გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება

გენდერული პოლიტიკა მნიშვნელოვნად აისახება როგორც ორგანიზაციის იმიჯზე, ასევე მისი საქმიანობის წარმატებაზე. პროკურატურის როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში მნიშვნელოვანია. საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობას და იღებს ყველა საჭირო ზომას ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს გენდერული ცოდნა და კომპეტენცია, როგორც ორგანიზაციულ, ასევე პიროვნულ დონეზე. საქართველოს პროკურატურა იღებს ვალდებულებას, რომ თანაბრად უზრუნველყოფს მამაკაცი და ქალი თანამშრომლების პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობას, თანაბარი

შრომისთვის - თანაბარ ანაზღაურებას, ქალთა თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაიზრდება პროკურატურის თანამშრომელთა ცოდნა, აღქმა და მგრძნობელობა გენდერულ საკითხებზე;
- ✓ შემუშავდება და დაინერგება ტრეინინგ-მოდული გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რომელსაც გაივლის პროკურატურის ყველა თანამშრომელი. ასევე, შემუშავდება და ჩატარდება ტრენინგები სექსუალური შევიწროვების საკითხებზე;
- ✓ გაიზრდება გენდერზე პასუხისმგებელი პირის და გენდერის საკითხებზე მომუშავე პირების ცნობადობა, კომპეტენციები და ფუნქციები;
- ✓ გაღრმავდება თანამშრომლობა გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ✓ ჩატარდება სპეციალიზებული ტრენინგები საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის გენდერულ თემატიკაზე, გენდერული მიმართულებით ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების გზებსა და ინსტრუმენტებზე;
- ✓ უზრუნველყოფილი იქნება სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და აღკვეთის მექანიზმის მუშაობა.

ამოცანა 4.6. მწვანე ოფისის კონცენფციის დანერგვა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების შემცირება

საქართველოს პროკურატურისათვის გარემოს დაცვა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, პროკურატურაში დაინერგება მწვანე ოფისის კონცეფცია. მწვანე ოფისის კონცეფციის მიზანია, სამუშაო პროცესის იმგვარი ფორმით წარმართვა, რომელიც შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას და ხელს შეუწყობს ენერგორესურსების მაქსიმალურად დაზოგვას.

დღეის მდგომარეობით, პროკურატურის ოფისები სამუშაო პირობებში იყენებენ დიდი ოდენობით ბუნებრივ რესურსს, მაღალია წყლის, ელექტროენერგიის, ფურცლების, საწვავის (ბუნებრივი აირი, ბენზინი) ხარჯი. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რამდენადაც, ერთი მხრივ, ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მოხმარება ზრდის მავნე ნივთიერებების ემისიას, რაც უარყოფითად მოქმედებს კლიმატის ცვლილებებზე.

- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, შემუშავდება მწვანე ოფისის კონცეფცია და კონცეფციის შესაბამისი რეკომენდაციები. საბეჭდი მასალის შემცირების, დოკუმენტების ორმხრივი ბეჭდვის, მეორადი ფურცლების გამოყენების,

მაკულატურის შეგროვების, არასამუშაო საათებში ელექტრონული ტექნიკის გათიშვის, პლასტიკატის ჭიქების მრავალჯერადი გამოყენების ჭიქებით ჩანაცვლების, გათბობის სისტემის ეფექტიანობის ზრდის გზით. პერიოდულად მოხდება რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი და ანგარიშგება;

- ✓ პროკურატურის ოფისების რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული იქნება ენერგოდამზოგავი მასალების გამოყენება;
- ✓ პროკურატურის ავტოპარკის განახლებისას უპირატესობა მიენიჭება ჰიბრიდული და ელექტროძრავიანი ავტომანქანების შეძენას, რაც ეტაპობრივად სრულად ჩაანაცვლებს შიდაწვის ძრავიან ავტომობილებს და შეამცირებს საწვავის მოხმარებას;
- ✓ ასევე, პროკურატურა დაგეგმავს და განახორციელებს გამწვანების და დასუფთავების აქციებს.

მიზანი 5 - საზოგადოების ნდობის ამაღლება

პროკურატურის, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო უწყებების წარმატებული მუშაობა, დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების ნდობაზე. საზოგადოების მხრიდან ნდობის მაღალ მაჩვენებელს პროკურატურის წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა განაპირობებს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროკურატურის მუშაობა არა მხოლოდ ობიექტურად იყოს კანონშესაბამისი, სამართლიანი, მიუკერძოებელი და მაღალკვალიფიციური, არამედ, იგი, ამგვარადვე აღიქმებოდეს საზოგადოების თვალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება საქართველოს პროკურატურისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროკურატურის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ზრდა, როგორც სტრატეგიული მიზანი, ემსახურება მდგრადი განვითარების №16 მიზნის „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ - შესრულებას.

ამოცანა 5.1. საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის ზრდა

საქართველოს პროკურატურას, საქმიანობის პროცესში, სხვადასხვა მხარეებთან აქვს კომუნიკაცია. ესენი შეიძლება იყვნენ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, მედიასაშუალებების წარმომადგენლები, პარტნიორი სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები, პოტენციური დასაქმებულები და ა.შ. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ აქტორთან კომუნიკაცია სპეციფიკურია და განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს.

დღეის მდგომარეობით, პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის განმსაზღვრელი ფართომასშტაბიანი კვლევები რეგულარულად არ ტარდება. ბოლოს, 2018 წელს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი 52 %-ს შეადგენს.

სტრატეგიის მოქმედების პერიოდში:

- ✓ პროკურატურის მიერ რეგულარულად ჩატარდება კვლევა საზოგადოების ნდობის მაჩვენებლის განსასაზღვრად. კვლევის საფუძველზე დაიგეგმება შემდგომი ინტერვენციები;

- ✓ შემუშავდება საზოგადოებასთან და მხარეებთან კომუნიკაციის სტანდარტი, რომლის საფუძველზეც მოხდება პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება;
- ✓ გაგრძელდება თანამშრომლებისაგან პრესსპიკერების შერჩევა და მათი გადამზადება;
- ✓ გაძლიერდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება კოორდინატორების რაოდენობის ოპტიმიზაცია. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები გაივლიან მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტრენინგებს, გაიზრდება სისხლის სამართლის საქმეებში მათი ჩართვის მაჩვენებელი. იმ პირებს, რომლებიც ისარგებლებენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დახმარებით, შეეთავაზებათ სპეციალური უკუკავშირის ანონიმური ფორმის შევსება კმაყოფილების და კოორდინატორის საქმიანობის ეფექტიანობის კვლევის მიზნით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მოხდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მოდერნიზაცია.

ამოცანა 5.2. პროკურატურის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ზრდა

უდავოა, რომ საზოგადოების ნდობის ამაღლება პროკურატურის მუშაობის მაქსიმალური ღიაობით, ანგარიშვალდებულებითა და გამჭვირვალობითაა შესაძლებელი. პროკურატურა მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებას იმ ფარგლებში, რაც არ დააზიანებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებს, პირის პერსონალური მონაცემების, პირადი, პროფესიული თუ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

- ✓ საქართველოს პროკურატურა, მოთხოვნის საფუძველზე, გასცემს საჯარო ინფორმაციას კანონით განსაზღვრულ ვადაში;
- ✓ ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით, საქართველოს პროკურატურა პროაქტიულად გამოაქვეყნებს ინფორმაციას, როგორც ზოგადი სტატისტიკისა და მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ;
- ✓ ჩატარდება საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებგვერდის მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგების შესაბამისადაც, განხორციელდება ვებგვერდის მოდერნიზება და სერვისების დამატება. მოხდება ვებგვერდის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

- ✓ საზოგადოებასთან უშუალო კომუნიკაციის გაღრმავების მიზნით, გაძლიერდება მოქალაქეთა პირისპირ მიღების მექანიზმი;
- ✓ სტრატეგიის მოქმედების პერიოდში, გაძლიერდება დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი მექანიზმის მხარდაჭერა. რეგიონულ დონეზე გავრცელებულ დანაშაულებთან ბრძოლის და პრევენციის კუთხით გამოვლენილ გამოწვევებთან ბრძოლის მიზნით, დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები;
- ✓ გაგრძელდება და გაფართოვდება პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ მუშაობა როგორც თემატურად, ასევე რაოდენობრივად. დანაშაულის პრევენციის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და პროკურატურის პოზიტიური ცნობადობის გაზრდის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, განხორციელდება საგანმანათლებლო, ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული და სოციალური ღონისძიებები; ჩატარდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოსახლეობასთან, მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია რეგიონების მიხედვით გახშირებულ დანაშაულებზე და მათი პრევენციის გზებზე; გახშირდება სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური ვიზიტები პროკურატურაში; თემატური კონკურსები და სხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეთათვის და სტუდენტთათვის;
- ✓ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე დაიგეგმება საინფორმაციო კამპანიები და ცნობიერების ამაღლების კვირეულები.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე სტრატეგია გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ წარედგინება საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს. სტრატეგია საბჭოს მიერ მოწონებულად ჩაითვლება, თუ მის დამტკიცებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობა;
2. 2022-2027 წლების სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდება სამი სამოქმედო გეგმა, 2022-2023; 2024-2025 და 2026-2027 წლებისათვის;
3. გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 იანვრისა, ამზადებს პროკურატურის სამოქმედო გეგმის წინა წლის შესრულების ანგარიშს. სამოქმედო გეგმა შესრულებულად ჩაითვლება, თუკი სრულად შესრულებულია სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების არანაკლებ 85%. სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს გენერალური პროკურორის ანგარიშში. ამავდროულად, შესრულების ანგარიში გამოქვეყნდება პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე. საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ვალდებულია პროკურატურის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ. დეპარტამენტი უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია მოითხოვოს შუალედურად, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდეც.
4. სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დასაბუთებული წარდგინებით, გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს წინასწარი თანხმობით, „საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 მარტის №008 ბრძანების მე-4 მუხლით დადგენილი წესით.
5. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა. მიზნისა და ამოცანის ინდიკატორების ცვლილება, ასევე, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ნებისმიერი პუნქტის ანულირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამის შესახებ მიღებული იქნება გადაწყვეტილება გენერალური პროკურატურის სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს მიერ, საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

6. წინამდებარე სტრატეგია, ასევე, სამოქმედო გეგმები ეგზავნება საქართველოს პროკურატურის ყველა თანამშრომელს, ამავდროულად, განთავსდება საჯაროდ, პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.